


№ 938994

საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება



N 53 2989
06/11/2019

საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო
საფასურის შემცირების და პრივატიზების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #569 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118-ე მუხლის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 ოქტომბრის #54 44 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. შემცირდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნომრავი ქონების -მარკა „BOGDAN“, ტიპი-ავტობუსი, მოდელი A-09201, საიდენტიფიკაციო ნომერი-Y7BA092017B001928, ძრავის მოცულობა-4570, ენერჯის წყარო- დიზელი, ძრავის საიდენტიფიკაციო ნომერი- 461.259, ფერი-ყვითელი 5/8, საწყისი (7700 ლარი) საპრივატიზებო საფასური 65%-ით და განისაზღვროს 2695 ლარით. „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საფასურის 10-10 პროცენტით.
2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2019 წლის 8 ნოემბერი და დასრულების დროდ ამავე წლის 15 ნოემბერი.
3. ბრძანება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, და აღნაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამენ ფალავანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

